ხელშეკრულება № SPA170007038/ 83
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 2017 წლის 18 ივლისი

ერთი მხრივ, **სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო"** (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **ლევან ძნელაძის** სახით და

მეორე მხრივ, **შპს „ალიანსი"** (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ კანკავას სახით,

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის (**SPA170007038**) ჩატარების შედეგად აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდეტს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ელექტრონულ ტენდერში და ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „სამუშაო" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.
1.7 „ტექნიკური დავალება" – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.
1.8 „ფორს-მაჟორი" - ,,მხარეები" -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა" და/ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო"-ს სასაწყობე მეურნეობის ტერიტორიაზე (ბაზა #2) არსებულ 11672 m^2 მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.17.002.019) სასაწყობე სივრცის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა – CPV45200000; CPV45213220 (შემდგომში „სამუშაო").
2.2. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა და მოცულობა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, პროექტსა და ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.
2.3. სამუშაოები ხორციელდება ხარჯთაღრიცხვის, სამუშაოების წარმოების გეგმა-გრაფიკის და პროექტის შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 557 000 (ხუთასორმოცდაჩვიდმეტიათასი) ლარს.
3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადებაში მითითებულ

საბოლოო ფასს და უნდა მოიცავდეს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მიწოდების პირობები და ადგილი

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 130 (ასოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
4.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, რეზო გაბაშვილის ქუჩაზე მდებარე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სასაწყობე მეურნეობის (ბაზა N2) ტერიტორია.
4.4. შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული მასალები უნდა იყოს ახალი, მაღალი ხარისხის, არ უნდა ავლენდეს დეფექტს და უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.
4.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი უნდა შესრულდეს ჯეროვნად, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტების, ტექნიკური დავალებით განსაზღვრული პირობების, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებისა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ტექნიკური პირობების შესაბამისად.

5. მხარეთა უფლება–ვალდებულებები

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს :
5.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
5.1.2 რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.
5.1.3 მოითხოვოს მიმწოდებელისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
5.2 შემსყიდველი ვალდებულია:
5.2.1 განახორციელოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
5.3.1 მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
5.4.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.
5.4.2 უზრუნველყოს სამუშაოს დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარულ დღეში.
5.4.3. შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესყიდვის ობიექტი, რომელიც არ გამოავლენს დეფექტებს.
5.4.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში არსებული შეფერხების შესახებ აცნობოს შემსყიდველს.
5.4.5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი გამოსწორება დაუყოვნებლივ, საჭიროების შემთხვევაში გაწიოს საჭირო მომსახურება (ახალი შესყიდვის ობიექტის მიწოდება), შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გარეშე.
5.4.6. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ტერიტორიაზე გადაამოწმოს საპროექტო ნიშნულები, ასევე სამშენებლო მოედანზე გადაამოწმოს საპროექტო ნახაზებში მითითებული ზომები და ნებისმიერი უზუსტობა აცნობოს შემსყიდველს.
5.4.7. სამუშაოების დაწყების დღიდან, აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად აღნიშნავს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, დასაქმებული პერსონალის შესახებ ინფორმაციას, გამოყენებულ მანქანა-მექანიზმებს, მოწყობილობების ჩამონათვალს, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა.
5.4.8. სამშენებლო სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების გათვალისწინებით, სამუშაოების ხარჯთაღრიცხვისა და პროექტის შესაბამისად.
5.4.9. სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი (ტერიტორია) მანქანა-მექანიზმებისგან, მოწყობილობა-დანადგარებისგან, მასალებისაგან, დროებითი შენობა-ნაგებობებისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ა.შ;
5.4.10. მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაო პროცესით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა;

5.4.11. სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობა-დანადგარების, მასალების და სხვ. ტერიტორიაზე შეყვანა, გამოყვანა, გადაადგილება და მოძრაობა მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს სამუშაო ტერიტორიაზე შესასვლელი გზის საფარის, გრუნტის და ხე-მცენარეების დაზიანების გარეშე;

5.4.12. შემსყიდველის მიერ შერჩეული პირის (საზედამხედველო ორგანიზაცია - შპს „ტრიჯიტი", რომელიც განახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშენებლობის ზედამხედველობას) მოთხოვნილი ნებისმიერი სახის ინფორმაცია (მოცულობები, ფარული სამუშაოები, წარმოშობის სერთიფიკატები, ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები, შესრულების აქტები, ანგარიშ-ფაქტურები და სხვა), რაც დაკავშირებულია მიმდინარე სამშენელო სამუშაოებთან, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენა.

5.4.13. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო პერიოდი გაავრცელოს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში, რომლის განმავლობაში „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება განზრახ ქმედებით.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მიწოდებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისად.

6.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება სამუშაოს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების, შესრულებული სამუშაოების მოცულობების, ღირებულების აქტის (უწყისი/ ფორმა #2), მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე, შესაბამისი დოკუმენტების სრულად წარდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

6.3 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს უშუალოდ შემსყიდველის მიერ საამისოდ შერჩეული პირის (საზედამხედველო ორგანიზაცია - შპს „ტრიჯიტი") მიერ დადასტურებული აქტი.

6.4 შესყიდვის ობიექტის ღირებულების 80%-ის ფარგლებში ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს მე-6 მუხლის 6.2 და 6.3 პუნქტებში ხსენებული დოკუმენტების სრულად წარმოდგენის შემდგომ, ხოლო საბოლოო ანგარიშწორების ეტაპზე მიმწოდებელი ვალდებულია ასევე წარმოადგინოს შესრულებულ სამუშაოებზე (სამუშაოების დასრულების ეტაპზე) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ან სხვა აკრედიტირებული პირის (პირს უნდა გააჩნდეს სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაცემული აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი) მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (რომელიც უნდა მოიცავდეს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების (მათ შორის ფარული სამუშაოების) მოცულობებს), რომლის ფინანსური ხარჯის გაწევა ეკისრება მიმწოდებელს.

6.5 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მიმწოდებლისათვის დადგენილი ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

7. ხელშეკრულების ინსპექტირება

7.1 შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

7.2 ინსპექტირებას ახორციელებს შემსყიდველის ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი გიორგი მჭედლიძე, ამავე სამსახურის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი ირაკლი კვაჭანტირაძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტები - გიორგი თარგამაძე და ბაკურ გელაძე. (შემდგომში ინსპექტირების ჯგუფი).

7.3 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

7.3.1 გაუწიოს კონტროლი შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

7.3.2 განახორციელოს კონტროლი მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხზე, ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობაზე.

7.4 ინსპექტირების ჯგუფის წევრებს შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად 7.3.1 და 7.3.2 ქვეპუნქტების შესაბამისად.

7.5 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, რომელიც დასტურდება მხარეების ან მათი წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირების) ხელმოწერებით.
8.2 სამუშაოთა მიღება განხორციელდება ყოველთვიურად, შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, მიმწოდებლის მიერ მომზადებული ფორმა #2-ის და შემსყიდველის მიერ საამისოდ შერჩეული პირის (საზედამხედველო ორგანიზაცია - შპს „ტრიჯიტი") მიერ დადასტურებული აქტით.
8.3 შესყიდვის ობიექტის მიღებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე რევაზ მარგველაშვილი და ამავე სამსახურის ლოჯისტიკის განყოფილების სპეციალისტი გიორგი კენჭიაშვილი, რომელთაც შეუძლიათ შესყიდვის ობიექტი მიიღონ როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურად.
8.4 ხელშეკრულების 5.4 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშოს ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.
9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:
ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია შესყიდვის ობიექტის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;
ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.4 ხელშეკრულების 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
10.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

12.1 საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ღირებულების 1,5%-ის ოდენობით. ხელშეკრულების შესრულების გარანტია უნდა იყოს უპირობო, გამოუთხოვადი და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.

12.2 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი გარანტია, გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, შემსყიდველი ვალდებულია, დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი გარანტიის დოკუმენტი.
12.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სრული ოდენობით.
12.5 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული გარემოებები) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის დოკუმენტი.

13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
13.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისგან.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

14.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.
14.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. დავების გადაჭრის წესი

15.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
15.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელისმოწერისთანავე და ძალაშია 2018 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

17. დასკვნითი დებულებები

17.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან - 2 შემსყიდველთან, 1 - მიმწოდებელთან.

18. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო"

ქ. თბილისი, გულუას ქ№ 4
ტელ: (995 32) 2 601 601
საიდენტიფიკაციო კოდი: 205081249
მიმღები: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707027501

ლევან ძნელაძე
გენერალური დირექტორი
მოვალეობის შემსრულებელი

მიმწოდებელი:

შპს „ალიანსი"

ქ, თბილისი, ქავთარაძის ქ. #25 კორპ. 1 ბ-81
ტელ: +99532983549;
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 976 464
ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE71BG 0000 0001 2125 3800

თეიმურაზ კანკავა
დირექტორი

მშენებლობის ღირებულება

კრებსითი სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება

სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“-ს სასაწყობე მეურნეობის ტერიტორიაზე (ბაზა №2) არსებულ 11672 მ2 მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.17.002.019) სასაწყობე სივრცის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა.

/მშენებლობის დასახელება/

№	ხარჯთაღ-რიცხვების და ანგარუშების №	თავების, ობიექტების, სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება				საერთო სახარჯთაღრი-ცხვო ღირ-ბა ათასი ლარი
			სამშენებლო სამუშაოების	სამონტაჟო სამუშაოების	დანადგარების ავეჯის და ინვენტარის	სხვადასხვა ხარჯები	
1	2	3	4	5	6	7	8
		<u>თავი 2</u>					
		<u>მშენებლობის ძირითადი ობიექტები</u>					
1	ლოკ.ხ.№2-1	სამშენებლო სამუშაოები	321,009	-	-		321,009
2	ლოკ.ხ.№2-2	ფარდულის ელ.მომარაგება		3,914	4,107		8,021
3	ლოკ.ხ.№2-3	ჯიხურის ელ.მომარაგება		0,791	1,294		2,085
		მე-2 თავის ჯამი	321,009	4,705	5,400		331,114
		<u>თავი 6</u>					
		<u>გარე ქსელები</u>					
8	ლოკ.ხ.№6-1	გარე განათება	8,829	5,366	13,617		27,812
		მე-6 თავის ჯამი	8,829	5,366	13,617		27,812
		2-6 თავების ჯამი	329,838	10,071	19,017		358,926
		<u>თავი 7</u>					
		<u>კეთილმოწყობა</u>					
9	ლოკ.ხ.№7-1	ვერტიკალური გეგმარება, ტერიტორიის კეთილმოწყობა	95,010				95,010
		მე-7 თავის ჯამი	95,010				95,010
		1-7 თავების ჯამი	424,848	10,071	19,017		453,936
		<u>თავი 8</u>					

10	СНИП IV-9-82	<u>დროებითი შენობები და ნაგებობები</u> დროებითი შენობები და ნაგებობები 1% უკან დასაბრუნებელი თანხა 15% მე-8 თავის ჯამი 2-8 თავების ჯამი	4,248 4,248 429,097	0,101 0,101 10,172	19,017		4,349 0,652 4,349 458,285
12		გაუთვალისწინებელი ხარჯი 3%				13,749	13,749
		ჯამი	429,097	10,172	19,017	13,749	472,034
13		დ.ღ.გ. 18%				84,966	84,966
14		სულ	429,097	10,172	19,017	98,715	557,000
		მ.შ.უკან დასაბრუნებელი თანხა					0,652

შემსყიდველი:

სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო"

ლევან ძნელაძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მიმწოდებელი:

შპს "ალიანსი"

თეიმურაზ კანკავა

დირექტორი

სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“-ს სასაწყობე მეურნეობის ტერიტორიაზე (ბაზა №2) არსებულ 11672 მ2 მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.17.002.019) სასაწყობე სივრცის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა.

/მშენებლობის დასახელება/

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა №2-1

სამშენებლო სამუშაოები

/ობიექტის, სამუშაოს და დანახარჯების დასახელება/

საფუძველი: პროექტი

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 321008,84 ლარი
მათ შორის ხელფასი 72970,9 ლარი

№	საფუძველი	სამუშაოს დასახელება	ნორმატიული რესურსი			ხელფასი		მასალა		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი
			განზ.	ერთეულზე	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
		I სამშენებლო სამუშაოები										
1	1-104-8 1-106-10 1-109-3 1-105-4 1-105-8 1-109-6	არსებული ხეების მოჭრა, ფესვების ამოძირკვა გადაადგილებით	ც		6,00							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1,6547	9,93	5,00	49,64					49,64
		მანქანები	ლარი	0,043	0,26					3,00	0,77	0,77
	კოდი1106	ამომძირკველი - მომგროვებელი ტრაქტორით 79 კვტ	მანქ/სთ	0,1868	1,12					30,00	33,62	33,62
2	1-112-1-4	ბუჩქების მოჭრა ამოძირკვა და შეგროვება	ჰა		0,42							
	კოდი1108	ბუჩქმჭრელი ტრაქტორით 79 კვტ	მანქ/სთ	3,58	1,50					25	37,59	37,59
	კოდი1106	ამომძირკველ-შემგროვებელი ტრაქტორით 79 კვტ	მანქ/სთ	10,8	4,54					30	136,08	136,08
3	46-37-1	არსებული აგურის ერთ სართულიანი შენობის დემონტაჟი (2ცალი)	კუბ.მ.		1650,00							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	2,280	3762,000	5,00	18810,00					18810,00

		მანქანები	ლარი	0,7015	1157,475					0,10	115,75	115,75
4	46-23-2	ბეტონის საძირკვლის დემონტაჟი	კუბ.მ.		65,00							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	13,200	858,00	5,00	4290,00					4290,00
		მანქანები	ლარი	9,630	625,95					0,10	62,60	62,60
5	46-25-1	არსებული ბეტონის წყლის რეზერვუარის დემონტაჟი	კუბ.მ.		13,800							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	7,300	100,740	5,00	503,7					503,70
		მანქანები	ლარი	3,700	51,060					1,00	51,06	51,06
6	1-22-12.	სამშენებლო ნაგვის ავტოთვითმცლელებზე დატვირთვა ექსკავატორით მუხლუხა სვლაზე, ჩამჩის მოც. 0,65კუბ.მ.	1000მ³		0,561							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	26,800	15,040	5,00	75,20					75,20
	კოდი0919	ექსკავატორის ექსპლუატაცია	მ/სთ	60,100	33,728					30,00	1011,84	1011,84
		სხვა მანქანები	ლარი	4,350	2,441					3,00	7,32	7,32
7	რ21-87	ტერიტორიის გასუფთავება სამშენებლო ნაგვისაგან ხელით	ტონა		8,00							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1,850	14,80	5,00	74,00					74,00
8	რ1-2	ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმ. ხელით	კუბ.მ.		5,00							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	0,640	3,20	5,00	16,00					16,00
9	სრფ2016-IV თ13ბ.1	სამშენებლო ნაგვის და გრუნტის ტრანსპორტირება	ტონა		905,60					1,00	905,60	905,60
10	1-12-6.	III კატ. გრუნტის დამუშავება თხრილში ექსკავატორით მუხლუხა სვლაზე, ჩამჩის მოც. 0,25კუბ.მ.	1000მ³		0,08							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	15,400	1,232	5,00	6,16					6,16
	კოდი0916	ექსკავატორის ექსპლუატაცია	მ/სთ	72,600	5,808					20,00	116,16	116,16
11	1-78-3	III კატ. გრუნტის დამუშავება თხრილში	კუბ.მ.		16,000							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	2,780	44,480	5,00	222,40					222,40
12	23-1-1.	ქვიშის საფარის მოწყობა (10სმ მილწბის ძირზე, 20სმ მილების თავზე)	კუბ.მ.		12,00							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1,80	21,60	5,00	108,00					108,00

		ქვიშა	კუბ.მ.	1,10	13,20			24,00	316,80			316,80
13	22-8-1.	პოლიეთილენის მილების PE 100 PN 10 SDR17 ჩალაგება თხრილში Ø25 ჰიდრავლიკური გამოცდით	გრძ.მ.		65,000							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	0,0959	6,234	5,00	31,17					31,17
		მანქანები	ლარი	0,045	2,938					3,00	8,81	8,81
		პოლიეთილენის მილი PE 100 PN 10 SDR17 Ø25	გრძ.მ.	1,010	65,650			1,00	65,65			65,65
		დანარჩენი ხარჯები	ლარი	0,001	0,039			3,00	0,12			0,12
14	22-8-2.	პლასტმასის კანალიზაციის მილის ჩალაგება თხრილში Ø100	გრძ.მ.		35,00							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	0,105	3,675	6,00	22,05					22,05
		მანქანები	ლარი	0,054	1,883					3,00	5,65	5,65
		მილი პლასტმასის Ø100	გრძ.მ.	1,010	35,350			5,00	176,75			176,75
		დანარჩენი ხარჯები	ლარი	0,0012	0,042			3,00	0,13			0,13
15	7-21-11.	ლითონის ღობე კუთხოვანაში ჩასმული ლითონის ბადით	გრძ.მ.		182,000							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1,660	302,120	5,00	1510,60					1510,60
		მანქანები	ლარი	0,050	9,100					3,00	27,30	27,30
	კოდი0470	ამწე საავტომობილო სვლაზე 10 ტონიანი	მ/სთ	0,205	37,310					25,00	932,75	932,75
		ლითონის სვეტები (მილი Ø50 სიგრძით 1,65მ)	ცალი	პროექტით	73,00			10,00	730,00			730,00
		ბეტონი „მ100“	კუბ.მ.	0,0141	2,566			90,00	230,96			230,96
		სამონტაჟო ნაკეთობები	კგ	0,020	3,640			2,50	9,10			9,10
		ღობის პანელი	კვ.მ.	1,430	260,260			20,00	5205,20			5205,20
		სხვა ხარჯები	ლარი	0,060	10,920			3,00	32,76			32,76
16	7-21-11გამ	არსებული ფარდულის ლითონის ღობის შეკეთება	გრძ.მ.		4,000							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1,660	6,640	5,00	33,20					33,20
		მანქანები	ლარი	0,050	0,200					3,00	0,60	0,60
		კუთხოვანა 50X50	გრძ.მ.	პროექტით	15,40			5,50	84,70			84,70
		სამონტაჟო ნაკეთობები	კგ	0,020	0,080			2,50	0,20			0,20
		ლითონის ბადე	კვ.მ.	პროექტით	15,00			10,00	150,00			150,00
		სხვა ხარჯები	ლარი	0,060	0,240			3,00	0,72			0,72

17	12-8-5გამ	ფარდულის უკანა კედელზე გოფრირებული თუნუქის ფურცლის აკვრა (სახანძრო უსაფრთხოების დაფა 4 ცალი)	კვ.მ		250,00							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	0,83	207,50	5,00	1037,50					1037,50
		მანქანები	ლარი	0,0041	1,03					3,00	3,08	3,08
		გოფრირებული თუნუქი სისქით 0.55მმ	კვ.მ.	1,010	252,50			9,00	2272,50			2272,50
		სხვა ხარჯები	ლარი	0,078	19,50			3,00	58,50			58,50
18	სრფ2016 თ12პ.11	ცეცხლმაქრიქაფოვანი ОВП-50	ცალი	პროექტით	8,00			75,00	600,00			600,00
		საყრდენი კედლები										
1	1-22-9,	III კატ. გრუნტის მოჭრა ექსკავატორით მუხლუხა სვლაზე, ჩამჩის მოც. 0,65კუბ.მ. ავტოთვითმცლელებზე დატვირთვით	1000მ³		2,264							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	13,200	29,885	5,00	149,42					149,42
	კოდი0919	ექსკავატორის ექსპლუატაცია	მ/სთ	29,500	66,788					30,00	2003,64	2003,64
		სხვა მანქანები	ლარი	2,100	4,754					3,00	14,26	14,26
2	1-79-3	გრუნტის შემდგომი დამუშავება ხელით III კატ. გრუნტში	კუბ.მ.		65,00							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	3,370	219,050	5,00	1095,25					1095,25
3	სრფ2016-IV თ.15პ.1	გრუნტის ტრანსპორტირება	ტონა		4324,24					1,00	4324,24	4324,24
4	6-1-1.	ბეტონის მომზადება სისქ. 10სმ საყრდენი კედლების ქვეშ	კუბ.მ.		84,000							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1,370	115,080	5,00	575,40					575,40
		მანქანები	ლარი	0,283	23,772					1,00	23,77	23,77
		ბეტონი "B7,5"	კუბ.მ.	1,020	85,680			90,00	7711,20			7711,20
		სხვა ხარჯები	ლარი	0,620	52,080			3,00	156,24			156,24
5	6-11-6.	მონოლითური რ/ბ საყრდენი კედელები	კუბ.მ.		462,000							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	8,820	4074,840	5,00	20374,20					20374,20
		მანქანები	ლარი	1,240	572,880					0,20	114,58	114,58
		ბეტონი "B25"	კუბ.მ.	1,015	468,930			110,00	51582,30			51582,30
		ყალიბის ფარი	კვ.მ.	1,840	850,080			12,00	10200,96			10200,96
		ძელაკი III ხ. 40-60მმ-იანი	კუბ.მ.	0,0034	1,571			390,00	612,61			612,61

		ყალიბის ფიცარი IIIხ. 40მმ-იანი	კუბ.მ.	0,0483	22,315			390,00	8702,69			8702,69
		სამშენებლო ჭანჭიკი	კგ	2,200	1016,400			2,50	2541,00			2541,00
		ელექტროდი	კგ	1,300	600,600			4,00	2402,40			2402,40
		A240c კლასის არმატურა	ტონა	პროექტით	4,990			1100,00	5489,00			5489,00
		A500C კლასის არმატურა	ტონა	პროექტით	12,810			1100,00	14091,00			14091,00
		ლითონის მილი Ø83X3.5	ტონა	პროექტით	1,010			1750,00	1767,50			1767,50
		ფოლადის ფურცელი δ10მმ	ტონა	პროექტით	0,295			1650,00	486,75			486,75
		სხვა ხარჯები	ლარი	0,530	244,860			3,00	734,58			734,58
6	8-4-8.	თიხატკეპნილის მოწყობა	კუბ.მ.		14,000							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	6,500	91,000	5,00	455,00					455,00
		მანქანები	ლარ	2,160	30,240					1,00	30,24	30,24
		თიხა	კუბ.მ.	1,150	16,100			25,00	402,50			402,50
		სხვა ხარჯები	ლარი	0,020	0,280			3,00	0,84			0,84
7	8-3-2.	დრენაჟის ღორღის გამფილტრავი ფების მოწყობა	კუბ.მ.		67,500							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	0,890	60,075	5,00	300,375					300,38
		მანქანები	ლარი	0,370	24,975					1,00	24,975	24,98
		ღორღი	კუბ.მ.	1,150	77,625			17,00	1319,63			1319,63
		სხვა ხარჯები	ლარი	0,020	1,350			3,00	4,05			4,05
8	1-31-3,14	ბალასტის უკუჩაყრა ბულდოზერით გადაადგილებით 30მ-მდე სიმძ. 59კვტ.	1000მ³		1,120							
	კოდი1009	ბულდოზერის ექსპლუატაცია 9,21+4,29X2=	მ/სთ	17,790	19,925					20,00	398,50	398,50
		ბალასტი	კუბ.მ.	1050,00	1176,000			8,00	9408,00			9408,00
		სასაწყობე ფარდული										
1	1-80-3	გრუნტის დამუშავება ხელით III კატ. გრუნტში	კუბ.მ.		17,00							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	2,06	35,02	5,00	175,1					175,10
2	1-81-3.	III კატ. გრუნტის უკუჩაყრა ხელით	კუბ.მ.		2,000							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1,210	2,420	5,00	12,10					12,10
3	რ1-3	IIIკატ. გრ. დატვირთ. ავტოთვითმ. ხელით	კუბ.მ.		15,000							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	0,870	13,050	5,00	65,25					65,25
4	სრფ2016-IV თ.15ბ.5	გრუნტის ტრანსპორტირება	ტონა		28,65					4,00	114,60	114,60

5	6-1-1.	ბეტონის მომზადება სისქ. 10სმ საძირკვლის ქვეშ	კუბ.მ.		5,500							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1,370	7,535	5,00	37,68					37,68
		მანქანები	ლარი	0,283	1,557					3,00	4,67	4,67
		ბეტონი "B7,5"	კუბ.მ.	1,020	5,610			90,00	504,90			504,90
		სხვა ხარჯები	ლარი	0,620	3,410			3,00	10,23			10,23
6	6-1-5.	მონ. რ/ბ წერტ. საძირკვლები-1	კუბ.მ.		13,000							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	6,660	86,580	5,00	432,90					432,90
		მანქანები	ლარი	0,590	7,670					3,00	23,01	23,01
		ბეტონი "B20"	კუბ.მ.	1,015	13,195			105,00	1385,48			1385,48
		ყალიბის ფარი	კვ.მ.	1,600	20,800			12,00	249,60			249,60
		ყალიბის ფიცარი IIIხ. 40მმ-იანი	კუბ.მ.	0,0183	0,238			390,00	92,78			92,78
		A500C კლასის არმატურა	ტონა	პროექტით	0,390			1100,00	429,00			429,00
		სხვა ხარჯები	ლარი	0,400	5,200			3,20	16,64			16,64
7	6-9-8.	ჩასატანებელი დეტ. მოწყობა ჩდ-1 (26ც) და ჩდ-2 (13ც)	ტონა		0,4953							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	64,000	31,699	5,00	158,50					158,50
		მანქანები	ლარი	1,300	0,644					3,00	1,93	1,93
		ჩასატანებელი დეტალები	ტონა	1,000	0,4953			1550,00	767,72			767,72
		სხვა ხარჯები	ლარი	2,000	0,991			3,00	2,97			2,97
8	9-10-12.	ლითონის სვეტების მონტაჟი	ტონა		2,635							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	5,75	15,15	5,00	75,76					75,76
		მანქანები	ლარი	1,17	3,08					3,00	9,25	9,25
	კოდი0489	ამწე მუხლუხა სვლაზე 25ტონიანი	მ/სთ	1,69	4,45					30,00	133,59	133,59
		კონსტრუქციის ღირებულება	ტონა	1,00	2,635			1850,00	4874,75			4874,75
		სამონტაჟო ელემენტები	კგ	5,00	13,18			2,50	32,94			32,94
		ქანჩი	კგ	4,00	10,54			2,50	26,35			26,35
		სხვა ხარჯები	ლარი	2,78	7,33			3,00	21,98			21,98
9	9-10-1.	გადახურვის ლითონის წამწეებისა და გრძივების მონტაჟი	ტონა		13,747							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	18,300	251,570	5,00	1257,85					1257,85
		მანქანები	ლარი	4,310	59,250					1,00	59,25	59,25
	კოდი0489	ამწე მუხლუხა სვლაზე 25ტონიანი	მ/სთ	1,330	18,284					30,00	548,51	548,51
		კონსტრუქციის ღირებულება	ტონა	1,000	13,747			1850,00	25431,95			25431,95
		სამონტაჟო ელემენტები	კგ	1,000	13,747			2,50	34,37			34,37

		ქანჩი	კგ	2,000	27,494			2,50	68,74			68,74
		ელექტროდი	კგ	3,000	41,241			4,00	164,96			164,96
		სხვა ხარჯები	ლარი	2,780	38,217			1,00	38,22			38,22
10	34-34-8	ლითონის ელემენტების შეღებავა ანტიკოროზიული ლაქით	ტონა		16,382							
	კ=0.5	შრომითი რესურსები	კაც/სთ	16,600	271,941	5,00	1359,71					1359,71
		მანქანები	ლარი	4,805	78,716					0,50	39,36	39,36
		ლაქი	კგ·	2,000	32,764			4,00	131,06			131,06
		სხვა ხარჯები	ლარი	0,090	1,474			3,00	4,42			4,42
11	34-33-6	ლითონის ელემენტების შეღებავა ზეთის საღებავებით	ტონა		16,382							
	კ=0.5	შრომითი რესურსები	კაც/სთ	12,650	207,232	5,00	1036,16					1036,16
		მანქანები	ლარი	6,920	113,363					0,50	56,68	56,68
		საღებავი ზეთოვანი	კგ·	7,700	126,141			4,00	504,57			504,57
		სხვა ხარჯები	ლარი	0,050	0,819			3,00	2,46			2,46
12	10-10-1.	გადახურვის შეფიცვრა	კვ.მ.		1175,6							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	0,236	277,442	5,00	1387,21					1387,21
